

## საქართველოს კანონი

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №1, ივლისი, 1997) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 23-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფო და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხა“.

2. 1343-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„მუხლი 1343. უმკვიდრო ქონების გადასვლა სახელმწიფოზე

1. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთ მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთმემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო იმ მემკვიდრეული მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალურ დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში“.

3. 1426-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევაში სამკვიდრეობის ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი ხვედრი ქონებიდან, რომელიც სხ მემკვიდრეებმა მიიღეს ან სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა, ნატურად მიეცემა“.

რაც შენარჩუნებულია; მას მიეცემა ასევე მისი ხვედრი ქონების დანარჩენი ნაწილის ღირებულება“.

4. 1444-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1444. სახელმწიფოს უარის დაუშვებლობა სამკვიდროს მიღებაზე სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა“.

5. 1492-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1492. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი